როგორ ვასწავლოთ ბავშვის უფლებათა კონვენცია საბაზო საფეხურზე?

აზრის, სინდისისა და რელიგიის თავისუფლება

მოამზადა ნინო გვარამაძემ

წინამდებარე რესურსი ეხება ბავშვის უფლებათა კონვენციის მე-14 მუხლის გააზრებას - აზრის, სინდისისა და რელიგიის თავისუფლებას.

მუხლი 14

1. მონაწილე სახელმწიფოები პატივს სცემენ ბავშვის აზრის, სინდისისა და რელიგიური რწმენის თავისუფლებას.

2. მონაწილე სახელმწიფოები პატივს სცემენ მშობელთა და, შესაბამის შემთხვევაში, კანონიერ მეურვეთა უფლებებსა და მოვალეობებს, უხელმძღვანელონ ბავშვს მისი უფლებების იმ მეთოდით განხორციელებაში, რომელიც შეესატყვისება ბავშვის განვითარებად უნარებს.

3. რელიგიური აღმსარებლობის ან რწმენის თავისუფლება შეიძლება დაექვემდებაროს მხოლოდ იმ შეზღუდვებს, რომლებიც დადგენილია კანონით და აუცილებელია სახელმწიფო უშიშროების, საზოგადოებრივი წესრიგის, მოსახლეობის ზნეობისა და ჯანმრთელობის ან სხვა პირთა ძირითადი უფლებებისა და თავისუფლების დაცვისათვის.

ქვემოთ მოყვანილია „სინდისის თავისუფლების“ ორი განმარტება:

სინდისის თავისუფლება იცავს ინდივიდის მიერ სინდისის საფუძველზე მიღებულ გადაწყვეტილებას (ე.წ. ,,სინდისის გადაწყვეტილება”). ,,სინდისის გადაწყვეტილება” არის ყოველი მნიშვნელოვანი ზნეობრივი, ანუ ,,კარგსა” და ,,ცუდზე” ორიენტირებული გადაწყვეტილება, რომელსაც ინდივიდი კონკრეტულ სიტუაციაში შინაგანად მისთვის აუცილებლად, სავალდებულოდ თვლის. ამ განმარტების შესაბამისად დაცული საქმიანობა (რელიგიის თავისუფლების მსგავსად) არის, ერთი მხრივ, შინაგანი სინდისი (forum internum), მეორე მხრივ კი, ამ სინდისის გარეგანი გამოხატულება (მის საფუძველზე მიღებული გადაწყვეტილებები) (forum externum). სინდისის თავისუფლების ძირითადი უფლების გამოყენება შეუძლია ყველა ფიზიკურ პირს. სამაგიეროდ ამ ძირითად უფლებას ვერ გამოიყენებს ვერცერთი იურიდიული პირი, მიუხედავად მათი კერძო თუ საჯარო სამართლებრივი ხასიათისა.[1]

[1] სინდისის თავისუფლება - Civil ენციკლოპედიური ლექსიკონი

სინდისის თავისუფლება — ინდივიდის თავისუფლება, იმოქმედოს თავისი ზნეობრივი რწმენისა და შეხედულებების შესაბამისად. კერძოდ, ეს ხშირად გულისხმობს თავისუფლებას, არ გააკეთოს ის, რასაც მოვალეობა, ბრძანება ან საზოგადოების მოლოდინი ავალდებულებს.

სინდისის თავისუფლების უფლება აღიარებულია არაერთი საერთაშორისო კონვენციით, მათ შორის ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციითა და ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციით. სინდისის თავისუფლება მჭიდროდაა დაკავშირებული აზრის, გამოხატვისა და რელიგიის თავისუფლებასთან.[2]

სინდისის თავისუფლება გულისხმობს ბავშვის უფლებას, გააზრებულად აირჩიოს თუ რა მიაჩნია სწორად ან არასწორად — მისი მორალური ფასეულობების საფუძველზე. ამ უფლების პატივისცემა მნიშვნელოვანია როგორც **ოჯახში**, ასევე **სკოლაში**.

აქტივობები გაკვეთილისთვის

მიზანი

მოსწავლეებმა გაიაზრონ ბავშვის უფლებათა კონვენციის მე-14 მუხლი.

მოსალოდნელი შედეგები

მოსწავლემ უნდა შეძლოს:

- ახსნას, რას ნიშნავს სინდისის, აზრის და რწმენის თავისუფლება;
- ამოიცნოს რეალურ ცხოვრებაში ამ უფლების დაცვის ან დარღვევის შემთხვევები;
- განიხილოს კონფლიქტი პირად სინდისსა და საზოგადოებრივ მოლოდინს შორის;
- გამოხატოს საკუთარი დამოკიდებულება განსხვავებული შეხედულებების მიმართ.

აქტივობა 1

შესავალი დისკუსია – „რისი უფლება გაქვს შენ?“

აქტივობა მოსწავლეებს მისცემს საშუალებას დაფიქრდნენ, აქვთ თუ არა სინდისის და აზრის გამოხატვის თავისუფლება საკუთარ ყოველდღიურობაში.

[2] სინდისის თავისუფლება - ვიკიპედია

შეკითხვები:

- გაქვს თუ არა უფლება არ დაეთანხმო მასწავლებელს?
- შეგიძლია უარი თქვა რაიმე ღონისძიებაში მონაწილეობაზე?
- როგორ ფიქრობ, უნდა დაუშვას სკოლამ განსხვავებული აზრი?

აქტივობა 2

მინი-ლექცია დოკუმენტის გაცნობა

მასწავლებელი წარუდგენს მოსწავლეებს ბავშვის უფლებათა კონვენციის მე-14 მუხლს მარტივი ენით. მაგალითად:

ყველა ბავშვი სარგებლობს აზრის, სინდისისა და რელიგიური რწმენის თავისუფლებით. სახელმწიფომ პატივი უნდა სცეს მშობლებისა და მეურვეების უფლებებს, ბავშვის მიერ ამ უფლებებით სარგებლობის შემთხვევაში.

შემდეგ იხილავენ ტერმინებს:

- სინდისი
- რწმენა
- შეზღუდვის კანონიერება

აქტივობა 3

ქეისების ანალიზი

ჯგუფებში მოსწავლეები იხილავენ ქეისებს. მაგალითად:

ქეისი 1:
სკოლაში ყოველ ორშაბათს სრულდება სახელმწიფო ჰიმნი. ნიკა უარს ამბობს დგომაზე და სიმღერაზე, რადგან მისი რელიგია კრძალავს სახელმწიფოს სიმბოლოთა თაყვანისცემას. დირექტორი მას შენიშვნას აძლევს.

- ჯგუფი პასუხობს შემდეგ კითხვებს:

- რომელი უფლებაა ამ შემთხვევაში აქტუალური?

- არის თუ არა ეს უფლება დაცული?
- როგორ შეიძლება მოგვარება სამართლიანად?

- ჯგუფები წარადგენენ თავიანთ მიდგომებს.

ქეისი 2:

სალომეს ოჯახში მკაცრი რელიგიური წესი მოქმედებს და მას ოჯახი აიძულებს ილოცოს გაკვეთილის დაწყების წინ. სალომეს არ სურს ლოცვაში მონაწილეობა.

- ჯგუფი პასუხობს შემდეგ კითხვებს:

- რომელი უფლებაა ამ შემთხვევაში აქტუალური?

- არის თუ არა ეს უფლება დაცული?

- როგორ შეიძლება მოგვარება სამართლიანად?

- ჯგუფები წარადგენენ თავიანთ მიდგომებს.

ქეისი 3:

კლასში თემა შეეხო თანასწორობას. ლაშას აქვს განსხვავებული შეხედულება და ამბობს, რომ ზოგი ჯგუფი ბუნებრივად არ უნდა იყოს თანასწორი. მასწავლებელი ეუბნება, რომ ასეთ აზრს კლასში ვერ გამოთქვამს.

- ჯგუფი პასუხობს შემდეგ კითხვებს:

- რომელი უფლებაა ამ შემთხვევაში აქტუალური?

- არის თუ არა ეს უფლება დაცული?

- როგორ შეიძლება მოგვარება სამართლიანად?

- ჯგუფები წარადგენენ თავიანთ მიდგომებს.

შენიშვნა: საუბარია აზრის თავისუფლებაზე. ეს შემთხვევა ითხოვს დისკუსიას და არგუმენტაციას.

ქეისი 4:

გიორგი შენიშნავს, რომ მისი მეგობარი კლასელი არღვევს სკოლის წესებს (მაგალითად – სიგარეტის მოწევა ან გაკვეთილზე უაზრო ხმაურის მოწყობა).

მასწავლებელი ითხოვს გიორგისგან, რომ დაასახელოს დამრღვევი მოსწავლე.

გიორგი ამბობს:

„არ შემიძლია ვთქვა, ვინ იყო – ეს ჩემს სინდისს ეწინააღმდეგება. არ მინდა სხვას ვავნო, თუნდაც ის არასწორად იქცეოდეს“.

მასწავლებელი პასუხობს, რომ ასეთ შემთხვევაში ან მთელი კლასი დაისჯება ან გიორგი იქნება პასუხისმგებელი წესების დარღვევაზე.

- ჯგუფი პასუხობს შემდეგ კითხვებს:

- რომელი უფლებაა ამ შემთხვევაში აქტუალური?

- არის თუ არა ეს უფლება დაცული?

- როგორ შეიძლება მოგვარება სამართლიანად?

- ჯგუფები წარადგენენ თავიანთ მიდგომებს.

ქეისი 5:

13 წლის ბავშვი აცხადებს, რომ არ სურს ცხოველური პროდუქტების ჭამა, რადგან მიაჩნია, რომ ცხოველების მოკვლა არაეთიკურია. მშობლები ეწინააღმდეგებიან ამ მოსაზრებას.

- ჯგუფი პასუხობს შემდეგ კითხვებს:

- რომელი უფლებაა ამ შემთხვევაში აქტუალური?

- არის თუ არა ეს უფლება დაცული?

- როგორ შეიძლება მოგვარება სამართლიანად?

- ჯგუფები წარადგენენ თავიანთ მიდგომას.

შენიშვნა: ქეისი ეხება სინდისის თავისუფლებას. ბავშვს უნდა მიეცეს საშუალება, გააგრძელოს ვეგეტარიანული კვება, მშობლებმა კი პატივი უნდა სცენ მის მორალურ არჩევანს, თუნდაც თავად სხვაგვარად ფიქრობდნენ.

აქტივობა 4:

როლური თამაში

თემა:

- "უნდა ჰქონდეთ თუ არა მოსწავლეებს სკოლაში რელიგიური სიმბოლოების ტარების უფლება?"
- "შეიძლება თუ არა სინდისის თავისუფლებით დაუსჯელად მოიქცე?"

მასწავლებელი წინასწარ ამზადებს სცენარს პერსონაჟებით: დირექტორი, მოსწავლე, მშობელი, პედაგოგი. აქტივობა მიმდინარეობს როლური თამაშის მეთოდის ყველა წესის დაცვით.

აქტივობა 5

შემოქმედებითი დავალება:

თემა:

- დაწერე მონოლოგი: „როდესაც ჩემი სინდისი ეწინააღმდეგებოდა სხვების აზრს“.
- შექმენი პოსტერი ან მოკლე ვიდეო იმის შესახებ, თუ რას ნიშნავს შენთვის „ვიფიქრო ისე, როგორც მინდა“.